

სს“ივერია“

ს/კ 202217733

ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

სს „ივერია“
ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი


ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება -----	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები-----	6

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	269 070	248 316	181 660
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	91 199	52 743	71 576
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	782	599
მარაგები	199 775	249 652	246 111
შხა პროდუქცია	25 637	27 356	24 789
სხვა	174 138	222 296	221 322
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	591 327	627 023	654 432
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1 151 371	1 178 516	1 154 378
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	400	400	0
სავაჭრო ვალდებულებები	686	239	385
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	5	0
საგადასახადო ვალდებულებები	7 387	7 129	6 378
გამომუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	272 689	249 843	222 760
სულ ვალდებულებები	281 162	257 616	229 523
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	771 017	771 017	771 017
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	99 192	149 883	153 838
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	870 209	920 900	924 855
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 151 371	1 178 516	1 154 378
სულ მოკლევადიანი აქტივები	560 044	551 493	499 946
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	281 162	257 616	229 523



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	864 338	803 647
საქონლის გაყიდვიდან	20 803	23 638
მომსახურების გაწევიდან	832 296	778 121
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	11 239	1 888
გაყიდვების თვითღირებულება	-96 818	-54 061
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გაღამაგების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	767 520	749 586
სხვა საოპერაციო შემოსავალი	266	697
დასაქმებულთა ანაზღაურება	-260 796	-239 726
ვვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-36 284	-39 275
საპროცენტო შემოსავალი	945	1 206
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	-2 034
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-134 523	-105 920
სულ საოპერაციო ხარჯები	-430 392	-385 052
საოპერაციო მოგება	337 128	364 534
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-2 764	-2 005
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-12 130	-6 500
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	322 234	356 029
მოგების გადასახადის ხარჯი	-47 565	-46 733
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	274 669	309 296
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	274 669	309 296
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	920 900	924 855
ახალი აქციების გამოშვება (მპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	-295 000	-295 000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-30 360	-18 251
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	870 209	920 900



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საბუღალტრო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის მოდელირების მიზნით)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მოღებული ფულადი სახსრები	967258.62	954513.88
ზარალის დასაფარად (ზიანის ასანაზღაურებლად) მოღებული თანხები	659.28	76.52
გადახდილი გადასახადები(მოგების გადასახადის გარდა)	225087.65	-219793.42
გადახდილი მოგების გადასახადი	47584.98	-46732.74
სამიწვლინებო ხარჯების ასანაზღაურება	-315	-450
გაცემული შრომის ასანაზღაურება	247882.4	235805.04
საბუღალტრო საქმიანობისთვის დაცემული ფულადი სახსრები	5854.98	11896.59
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-152140.47	-119192.92
ფულადი სახსრები საბუღალტრო საქმიანობიდან	279035.46	320713.69
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	150	209.25
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განკარგულების შედეგად მიღებული სესხების გაცემა	1000	3000
გაცემული სესხის სრული/წილობრივი კაპიტალიზაცია	480	2520
მიღებული პროცენტები	722.89	665.22
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	352.89	394.52
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება		
სესხების დაფარვა		
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი დივიდენდები	258555.34	-254519.65
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-258555.34	-254519.65
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა / კლება	78.89	65.93
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	248315.76	181661.27
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	269069.88	248315.76

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

- 1.1. სს“ივერია“ (შემდგომში-კომპანია) დარეგისტრირებულია 05.12.2003წ.
ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ.მისი რეგისტრაცია მოხდა „მეწარმეთა
შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი,
გუდაუთის #7. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი #202217733. კომპანია
დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.
- 1.2. კომპანიის წესდებით გამოცხადებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 771017 ლარს.
სააქციო კაპიტალი დაყოფილია 347305 ცალ აქციად, თითო აქციის ნომინალური
ღირებულებაა 2.22 თეთრი. ყველაზე მსხვილი აქციონერია დავით სილაგავა
(პ/ნ 01024002394). სულ 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით რეგისტრირებულია 717
აქციონერი.
- 1.3. სამეთვალყურეო საბჭო წარმოდგენილია შემდეგი სახით:
- | | |
|--------|-----------------------------------|
| წევრი: | მაკა მემანიშვილი, პ/ნ 01007001850 |
| წევრი: | დავით სილაგავა, პ/ნ 01024002394 |
| წევრი: | ლიანა ენდელაძე, პ/ნ 01011026906 |
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:
გენ.დირექტორის მოადგილე ფინანსებისა და წარმოების დარგში:- ლიანა ენდელაძე,
პ/ნ 01011026906
- 1.4. კომპანიას აქვს ორი ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა: პარფიუმერული
ნაწარმის წარმოება და უძრავი ქონების იჯარით გაცემა-გაქირავება.
- 1.5. კომპანიას შვილობილი საწარმოები არ გააჩნია.
- 1.6. კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში, 1 ლარამდე
სიზუსტით.

2. მომზადების საფუძვლები და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი-აღრიცხვის მეთოდი დაცულია.

2.2. დაცულია ფასს-ების ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმო, რაც გულისხმობს რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი 1 წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.3. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით)

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

1) შემოსავლების აღიარება:

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის ოდენობით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკანდაბრუნება ან ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლების შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

2) ხარჯების აღიარება:

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

3) საექვო მოთხოვნების აღიარება:

საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა.

4) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:

ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს კომპანიისათვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

5) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან, მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდით.

6) ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გამოიყენება პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებად ნაშთთა მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების გამოყენება.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან, სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ის აიღება შემდეგი ოდენობით:

შენობები	-20 წელი
ნაგებობები	-12 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	-20 წელი

სატრანსპორტო საშუალებები	-5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	-5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	-5 წელი
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	-2 წელი

7) არამატერიალური აქტივები:

კომპანიას ბალანსზე არ აქვს აღრიცხული არამატერიალური აქტივები, ამიტომ მისი სააღრიცხვო პოლიტიკა არამატერიალურ აქტივებთან მიმართებაში განსაზღვრული არ არის.

9) სახელფასო დანახარჯები :

თანამშრომელ პირთა ხელფასები, შენატანები საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულება, პრემია და ა.შ. შესაბამისად აისახება ხარჯებში, ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

10) დივიდენდი:

საზოგადოების შესაძლებლობა გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს, გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდის ასახვა ხორციელდება მათი გამოცხადების პერიოდში. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

11) უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში არსებული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისთვის. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, იწერება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (GEL). ანგარიშის პერიოდისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში იმ კურსის შესაბამისად რომელიც არსებობს ოპერაციის დღისთვის, წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.